


საქართველოს დემოგრაფიული

პერსპექტივები:

2015-2300 წლები

ბიორბი წულაძე



**საქართველოს დემოკრატიული პერსპექტივები:
2015-2300 წლები**

გიორგი წულაძე

თბილისი
2013

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

გიორგი წულაძე
საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები: 2015-2300 წლები

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს დემოგრაფიული ხედვა 2010 წლიდან დაწყებული ძირითადად 2050 წლამდე, თუმცა ცალკეული დემოგრაფიული მაჩვენებელი მოტანილი იქნება 2100-2300 წლებისათვის. ამასთან, მოცემული დემოგრაფიული ინდიკატორები 2010-2050 წწ. წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა პროგნოზით. მოკლე ანალიზი დაეფუძნება აღნიშნულ პროგნოზებს.

რედაქტორები: ავთანდილ სულაბერიძე
გოგი ლორთქიფანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარინა ხაჩატუროვა

© გიორგი წულაძე, 2013

ISBN 978-9941-0-5302-3

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	4
1. მეთოდოლოგიური განმარტებები.....	5
2. გაეროს დემოგრაფიული პროგნოზული გადასინჯვების შედარება	10
3. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები სხვადასხვა პროგნოზით 2015-2050 წლებში.....	14
4. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2050-2100 წლებში.....	26
5. საქართველოს ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებელი 2100-2300 წლებში	32
რეზიუმე.....	34
დანართი.....	35

წინასიტყვაობა

მოსახლეობის რაოდენობის, მისი შემადგენლობისა და სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლის პერსპექტიული გაანგარიშებები აუცილებელია სახელმწიფოს მართვისათვის, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის¹.

ამდენად, საერთაშორისო სტანდარტებსა და უახლეს სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებულ პროგნოზებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში, კერძოდ, ახალ ათასწლეულში მოსახლეობის განვითარების ოპტიმალური პოლიტიკის დანერგვაში².

მთელ მსოფლიოში მხოლოდ სამი ორგანიზაცია პერიოდულად იძლევა ქვეყნების დემოგრაფიულ პროგნოზებს. ეს ორგანიზაციებია: გაერო, მსოფლიო ბანკი და აშშ-ის აღწერის ბიურო.

პროგნოზები კეთდება საქართველოს შემთხვევაშიც.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებისა და აგრეთვე ჩვენს მიერ (გ. წულაძე) შესრულებული პროგნოზების საფუძველზე 2015 წლიდან დაწყებული.

პროგნოზები ეფუძნება 2010 წლის გადასინჯვებს.

¹ Tsuladze, G., Maglaperidze, N., Vadachkoria, A. (2003), *Population Prospects of Georgia. The 2003 Revision*. UNFPA. Tbilisi: Poligraph+, p. 6-7. .

² Ibid.

1. მეთოდოლოგიური განმარტებები

პროგნოზი

გაეროს შეფასებები ეფუძნება ორ პროცესს: 1) ცნობილ და სათანოდო ინფორმაციას დემოგრაფიული წარსულის შესახებ და 2) ჰიპოთეზებს შობადობის, მოკვდაობისა და საერთაშორისო მიგრაციის შესახებ.

ბოლო დროის გადასინჯვები მოიცავს 8 ვარიანტს: დაბალი, საშუალო, მაღალი, მუდმივი შობადობის, მიმდინარე შობადობის, მუდმივი მოკვდაობის, მუდმივი შობადობისა და მუდმივი მოკვდაობის, საერთაშორისო მიგრაციის ნულოვანი საღდოსი. უფრო მიღებული და ცნობილია საშუალო ვარიანტი და შემდეგ დაბალი, მაღალი და მუდმივი შობადობის. აღსანიშნავია, რომ გაერო პროგნოზებს აგებდა 2050 წლამდე პერიოდისათვის. ასე იყო 2008 წლის გადასინჯვის ჩათვლით. რაც შეეხება 2010 წლის გადასინჯვას, პროგნოზი მოიცავს 2100 წლამდე პერიოდს³.

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. მთელი საპროგნოზო პერიოდისათვის, იმყოფება დაბალ, მოსახლეობის აღწარმოებისათვის არასაკმარის დონეზე (პროგნოზის საშუალო ვარიანტით).

პროგნოზირების საწყის სიდიდედ ჩვეულებრივ აიღება ბოლო 5 წლის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის საშუალო, შესაბამისი ასაკობრივი კოეფიციენტებისაგან გამომდინარე.

საერთაშორისო მიგრაციის საღდოს შემთხვევაში გაითვალისწინება წინა პერიოდში არსებული მონაცემები და შეფასებები.

მსოფლიო ბანკის დემოგრაფიული პროგნოზი ძირითადად ეფუძნება გაეროს დემოგრაფიული პროგნოზების საშუალო ვარიანტის ტენდენციებს.

აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზები ეფუძნება კოჰორტ-კომპონენტების მეთოდის გამოყენებასა და დაშვებას შობადობის, მოკვდაობისა და საერთაშორისო მიგრაციის შესახებ.

გ. წუღადის პროგნოზის ორიგინალი მოცემულია 4 ვარიანტად (დაბალი, საშუალო, მაღალი და უცვლელი შობადობის). მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზი მოცემულია 1 ვარიანტად (საშუალოთი).

შესადარისობის მიზნით მოცემულ შემთხვევაში ყველა პროგნოზი წარმოდგენილია ერთ – საშუალო ვარიანტად.

პირველი სრულყოფილი დემოგრაფიული პროგნოზები საქართველოს შესახებ უცხოეთში იქნა შესრულებული (იგულისხმება გაეროს პროგნოზები).

რაც შეეხება ქართველ დემოგრაფებს. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გათვალისწინებული დემოგრაფიული პროგნოზები პირველად 2001 წელს შესრულდა და მოიცავდა 2005-2020 წლების პერიოდს⁴. მომდევნო გადასინჯვა 2002 წელს შედგა და ასევე მოიცავდა 2005-2020 წლებს⁵. 2003 წლის გადასინჯვა მოიცავდა უკვე 2005-2050 წლების დემოგრაფიულ პროგნოზს და შესრულებულ იქნა MortPak კომპიუტერული პროგრამით⁶. შემდგომი დემოგრაფიული პროგნოზი 2007 წლის გადასინჯვით მოიცავდა 2005-2050 წლების

³ World Population Prospects: The 2010 Revision, <http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm>,

⁴ Tsuladze, G., Maglaperidze, N. (2001). *Population Prospects of Georgia*. Tbilisi: RTI Project.

⁵ Tsuladze, G., Maglaperidze, N., Vadachkoria, A. (2002). *Demographic Yearbook of Georgia. 2001*. Tbilisi: Scientific – Publishing Centre GCI.

⁶ Tsuladze, G., Maglaperidze, N., Vadachkoria, A. (2003). *Polpulation Prospects of Georgia. The 2003 Revision*. Tbilisi: UNFPA.

პერიოდს და შესრულებულ იქნა ასევე MortPak კომპიუტერული პროგრამით⁷. მოცემულ ნაშრომში მოტანილი დემოგრაფიული პროგნოზი საქართველოსათვის შეფასებითი მონაცემებით 2010 წლის გადასინჯვას წარმოადგენს და შესრულებულ იქნა DemProj კომპიუტერული პროგრამის საფუძველზე⁸.

დემოგრაფიული პროგნოზებისათვის აუცილებელია ავტორის მხრიდან დაშვებები, რომლებიც გარკვეულ ჰიპოთეზებს ეფუძნება. ასეთი სახის ჰიპოთეზები (დაშვებები) კეთდება შობადობის ჯამობრივი და ასაკობრივი კოეფიციენტებისათვის, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისათვის დაბადებისას და საერთაშორისო მიგრაციისათვის.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პროგნოზი კეთდება რამდენიმე ვარიანტად. სადღეისოდ ძირითადად გამოიყენება ოთხი ვარიანტი: საშუალო, დაბალი, მაღალი და მუდმივი შობადობის.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ყველა შემთხვევაში სხვადასხვა ვარიანტისათვის გამოიყენება შობადობის განსხვავებული ჯამობრივი და ასაკობრივი კოეფიციენტები. გაეროს პროგნოზების შემთხვევაში, რომლებიც მოცემულ ნაშრომშია წარმოდგენილი (2010 წლის გადასინჯვა), სხვადასხვა ვარიანტისათვის უცვლელი რჩება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას და საერთაშორისო მიგრაციის სალდო.

ჩვენს შემთხვევაში რამდენადმე უფრო გართულებული მდგომარეობა იქნა გამოყენებული. პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტისათვის გარკვეულ ცვლილებას განიცდიდა როგორც შობადობის ჯამობრივი და ასაკობრივი კოეფიციენტები, ისე სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას და საერთაშორისო მიგრაცია.

საპროგნოზო პერიოდი (2015-2050 წწ.) საქართველოსათვის დაბალი შობადობის, მზარდი მოკვდაობის (მოსახლეობის 1000 სულზე) და შესაბამისად დაბალი ბუნებრივი მატების პირობებში განიხილება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო მიგრაციის სალდოს.

ჩვენს მიერ ადრე შემუშავებული პროგნოზი, მაგ., 2003 წლის გადასინჯვისას, გულისხმობდა საერთაშორისო მიგრაციის უარყოფით სალდოს. ამასთან, მის შემცირებას 2010 წლიდან 2035 წლამდე 5 ათასით საშუალოდ წელიწადში ყოველი პერიოდისათვის (2010-დან 2015-მდე, 2015-დან 2020-მე და ა.შ. 2035 წლამდე). 2035 წლიდან 2050 წლამდე საერთაშორისო მიგრაციის სალდო 0-ის ტოლად იყო განსაზღვრული. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი შემდგომი გადასინჯვებისას.

2010 წლის გადასინჯვისას, რომელიც მოცემულ ნაშრომშია მოტანილი, საერთაშორისო მიგრაციის სალდოს განსაზღვრისას სხვა პრინციპი იქნა აღებული. კერძოდ, გამოყენებულ იქნა მიგრაციული გადასვლის თეორია⁹, მისი ზოგადი სქემა.

⁷ წულაძე, გ., სულაბერიძე, ა., მაღლაფერიძე, ნ., მამარდაშვილი, გ. (2008). *საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუმბინ, დღეს, ხვალ*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

⁸ 2006 წლისათვის ცნობილი იყო 60-მდე კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მოწოდებული იყო დემოგრაფიული პროგნოზებისათვის (წყარო: Pinnelli, A., Birindelli, A-M. (2006). *Advantages and Limitations of Demographic Software and Simulation Programs*. Caselli, G., Vallin, J., Wunsch, G. *Demography: Analysis and Synthesis*. v. IV. Amsterdam, Boston: Elsevier, pp. 846-848). მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილებად ითვლება MortPak და DemProj.

⁹ Zelinsky, W. (1971). *The Hypothesis of the Mobility Transition*. – “Ekistics”, v. 32.

შეგახსენებთ, რომ მიგრაციული გადასვლის თეორია დემოგრაფიული გადასვლის მიმდინარეობასთან კავშირში განიხილება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს შემთხვევაში დემოგრაფიული გადასვლა და მისი განვითარება ნაკლებ როლს თამაშობს მიგრაციული გადასვლისათვის და არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ განვითარებას. საქმე ის არის, რომ დემოგრაფიული განვითარების, დემოგრაფიული გადასვლის თვალსაზრისით, საქართველო განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება, ხოლო მიგრაციული გადასვლის თვალსაზრისით – ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რაც ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

სქემატურად მიგრაციული პროცესის განვითარება ეტაპობრივად შემდეგნაირად მიმდინარეობს¹⁰:

- I. დაბალ ეკონომიკურ განვითარებას და მძიმე პირობებს 1990-იან წლებში (განსაკუთრებით პირველ ნახევარში) მოჰყვა ემიგრაციის მაღალი ინტენსივობა;
- II. უცხოურ დახმარებებს, ინვესტიციების ზრდას, საზღვარგარეთიდან ფულად გზავნილობებსა და თვითონ საქართველოში მიმდინარე პროცესებს მოჰყვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და წინა პერიოდთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა. ამის შედეგად, წინა პერიოდთან შედარებით, კლებულობს ემიგრაცია და თანდათან დასაბამი ედება იმიგრაციის პროცესს;
- III. შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას მოჰყვება ემიგრაციის დონის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კლება და იმიგრაციის ზრდა. დაახლოებით მესამე ეტაპის ბოლოსათვის უკვე იმიგრაცია აჭარბებს ემიგრაციას და შესაბამისად მიგრაციის სალდოს სიდიდე დადებითი ხდება. ამასთან, იწყება იმ ადამიანების დაბრუნება, რომლებიც ქვეყნიდან პირველი ეტაპის დროს წავიდნენ;
- IV. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მაღალ დონეს აღწევს, რასაც მოჰყვება იმიგრაციის შემდგომი ზრდა და ემიგრაციის ძალიან დაბალ დონემდე შემცირება.

ზემოთ აღწერილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მიგრაციის ეტაპობრივი ცვლილება გარკვეულ დროს საჭიროებს.

მთავარია განისაზღვროს მიგრაციის ზოგადი სქემიდან გამომდინარე ეტაპები და დროული საზღვრები საქართველოსათვის.

I ეტაპი საქართველომ უკვე გაიარა 1990-იანი წლების შუა პერიოდისათვის და 1997-1998 წლებიდან II ეტაპზე გადავიდა. II ეტაპი პრაქტიკულად დღემდე გრძელდება და სავარაუდოდ 2015 წლამდე გასტანს. 2015 წლიდან მოსალოდნელია III ეტაპზე გადასვლა. დაახლოებით 2025 წლამდე მოსალოდნელია საერთაშორისო მიგრაციის უარყოფითი სალდოს მინიმუმამდე შემცირება და 2025-2030 წლებში მიგრაციის დადებითი სალდოთი შეცვლა. აღნიშნული პერიოდიდან საერთაშორისო მიგრაციის დადებითი სალდო თანდათან ზრდას დაიწყებს.

აღსანიშნავია, რომ შეფასებითი მონაცემებით 1989-2001 წლებში საქართველოსათვის მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1025 ათასი, ხოლო 2001-2010 წლებში – 250 ათასი შეადგინა. ამდენად, მთლიანობაში, 1989-2010 წლებში მიგრაციის უარყოფითი სალდო 1 მილიონ 275 ათასის ტოლია.

¹⁰ Эпплярд, Р. (1992). *Нынешняя ситуация, тенденции и перспективы*. Материалы семинара. *Миграция и миграционная политика*. МОМ. М., с. 15-26.

შეფასებითი პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტისათვის 2010 წლის გადასინჯვით მიგრაციის სალდო შემდეგნაირად იქნა განსაზღვრული:

საშუალო ვარიანტი: 2010-2025 წწ. – -155 ათასი, 2025-2050 წწ. – 195 ათასი, ანუ მთელი 2010-2050 წწ. – 40 ათასი.

დაბალი ვარიანტი: 2010-2025 წწ. – -160 ათასი, 2025-2050 წწ. – 135 ათასი. 2010-2050 წწ. – -25 ათასი.

მაღალი ვარიანტი: 2010-2025 წწ. – -135 ათასი, 2025-2050 წწ. – 240 ათასი. 2010-2050 წწ. – 105 ათასი.

მუდმივი შობადობის ვარიანტი: აღებული იქნა საშუალო ვარიანტისათვის დამახასიათებელი სიდიდეები.

გაეროს საერთაშორისო მიგრაციის სალდო რომ აგველო საფუძველად შეფასებითი პროგნოზისას, მაშინ განსხვავება ზოგიერთ დემოგრაფიულ მაჩვენებელს შორის საკმაოდ დიდი იქნებოდა.

მაგ., 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეფასებითი პროგნოზის საშუალო ვარიანტით დაახლოებით 400 ათასით ნაკლები იქნებოდა, დემოგრაფიული დაბერების დონე მეტი, ხოლო დაბადებულთა რაოდენობა ნაკლები.

მოსახლეობა

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოცემულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით (ყველა პროგნოზით).

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა პროგნოზის ორიგინალებში მოცემულია:

გაეროს

შემთხვევაში – 5 წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით, ბოლო ჯგუფი 100 და უფროსი ასაკის.

მსოფლიო ბანკის

შემთხვევაში – 5 წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით, ბოლო ჯგუფი 75 და უფროსი ასაკის.

აშშ აღწერის ბიუროს

შემთხვევაში – 5 წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით, ბოლო ჯგუფი 100 და უფროსი ასაკის.

გ. წულაძის

შემთხვევაში – 5 წლიანი ასაკობრივი ინტერვალებით, ბოლო ჯგუფი 80 და უფროსი ასაკის.

შესადარისობის მიზნით აღებულ იქნა მსოფლიო ბანკის სტანდარტი.

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის პროცენტული განაწილება მოცემულია ჩვენს მიერ.

შობადობა

მსოფლიო ბანკი არ იძლევა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობას. მის გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა შესაბამისი წლების მოსახლეობის რაოდენობისა და შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ნამრავლი.

აშშ აღწერის ბიუროს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა მოცემული აქვს ყოველი ცალკეული წლისათვის. ჩვენს შემთხვევაში 6 წლიანი ინტერვალები მიღებულ იქნა როგორც შესაბამისი ცალკეული 6 წლის საშუალო.

მოკვდაობა

მსოფლიო ბანკი არ იძლევა გარდაცვლილთა რაოდენობას. მის გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა შესაბამისი წლების მოსახლეობის რაოდენობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის ნამრავლი.

აშშ აღწერის ბიუროს გარდაცვლილთა რაოდენობა მოცემული აქვს ყოველი ცალკეული წლისათვის. ჩვენს შემთხვევაში 6 წლიანი ინტერვალები მიღებულ იქნა როგორც შესაბამისი ცალკეული 6 წლის საშუალო.

ბუნებრივი მატება

ბუნებრივი მატება გაანგარიშებულ იქნა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის სხვაობით.

მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები

გაეროსა და მსოფლიო ბაკის პროგნოზებში მოცემულია მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტები. გ. წულაძის პროგნოზებში ორიგინალში მოტანილია მოსახლეობის აღწარმოების როგორც ბრუტო, ისე ნეტო კოეფიციენტები¹¹, თუმცა მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი. აშშ აღწერის ბიურო იძლევა მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტს.

საერთაშორისო მიგრაციის სალდო

მსოფლიო ბანკი არ იძლევა საერთაშორისო მიგრაციის სალდოს აბსოლუტურ სიდიდეს. მის გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა შესაბამისი წლების მოსახლეობის რაოდენობისა და საერთაშორისო მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტის ნამრავლი.

აშშ აღწერის ბიუროს საერთაშორისო მიგრაციის სალდოს აბსოლუტური სიდიდე მოცემული აქვს ყოველი ცალკეული წლისათვის. ჩვენს შემთხვევაში 6 წლიანი ინტერვალები მიღებულ იქნა როგორც შესაბამისი ცალკეული 6 წლის საშუალო.

მოსახლეობის ცვლილება

მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება მიღებულ იქნა როგორც ბუნებრივი მატებისა და საერთაშორისო მიგრაციის სალდოს ჯამი.

¹¹ წულაძე, გ. (2011). *მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება (1950-2050)*. ტ. II. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 589-592.

2. ბაეროს დემოგრაფიული პროგნოზული ბალანსწვების შედარება


ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაერო აწარმოებს მის მიერვე გაკეთებული დემოგრაფიული პერსპექტიული გაანგარიშებების გადასინჯვას.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენ შევადარებთ ბოლო ორი – 2008 და 2010 წლების გადასინჯვებს. უნდა ითქვას, რომ მოსალოდნელია 2012 წლის შესაბამისი გადასინჯვაც, თუმცა ის სადღეისოდ დამუშავების პროცესშია და როგორც ჩანს იგი მოგვიანებით, მოცემული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ იქნება.

ჩვენი მოკლე შედარება დაეფუძნება პროგნოზის საშუალო ვარიანტს, თუმცა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დანართში იხილოს ცხრილი 14-21, სადაც ასევე მოტანილია პროგნოზის მაღალი, დაბალი და მუდმივი შობადობის ვარიანტები.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შედარება პროგნოზის საშუალო ვარიანტის 2008 და 2010 წლების გადასინჯვების მიხედვით გვიჩვენებს, რომ 1950-1995 წლებისათვის მოსახლეობის ერთნაირი სიდიდის რაოდენობაა მოტანილი, ხოლო 2000-2050 წლებისათვის უკვე გარკვეულ განსხვავებას აქვს ადგილი. ამასთან, უმნიშვნელო განსხვავება 2000 წლისათვის თანდათან იზრდება დროთა განმავლობაში, შემდეგ მცირდება და 2030 წლის შემდეგ ისევ მატულობს.

დიაგრამა 1. მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვის მიხედვით, საქართველო – 2000-2050 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 14

გარკვეულ განსხვავებას ვხვდებით 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილთან დაკავშირებით. ამასთან, ცალკეულ წლებში ეს განსხვავებები უკვე 1950 წლიდან შეიმჩნევა (იხ. ცხრილი 15).


ამასთან, როგორც მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, 2020 წლიდან განსხვავება 2008 და 2010 წლების გადასინჯვებს შორის 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილის სხვაობა თანდათან მატულობს (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვის მიხედვით, საქართველო – 2000-2050 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 15

დიაგრამა 3. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (%) გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვის მიხედვით, საქართველო – 2000-2050 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 17

როგორც ვხედავთ, 2005-2010 წლებიდან 2010 წლის გადასინჯვით შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ნაკლებია 2008 წლის გადასინჯვასთან შედარებით. ამასთან, სხვაობა მათ შორის ჯერ იზრდება, ხოლო შემდეგ ერთ დონეზე სტაბილიზირდება 1%-ის ფარგლებში.

რაც შეეხება შობადობის ისეთ მაჩვენებელს როგორც არის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, განსხვავება 2008 და 2010 წლების გადასინჯვებს შორის 2010 წლის შემდეგ შეიმჩნევა. აღსანიშნავია რომ 2010 წლის გადასინჯვით რამდენადმე ნაკლები სიდიდის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტია მოცემული.

დიაგრამა 4. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვის მიხედვით, საქართველო - 2000-2050 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 20

რაც შეეხება მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტს, მოცემულ შემთხვევაში, განსხვავებულ ტენდენციას აქვს ადგილი. 2000-2005 წლებიდან 2020-2025 წლებამდე მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი 2008 წლის გადასინჯვით უფრო მაღალია, ვიდრე 2010 წლის გადასინჯვის მონაცემებით. შემდეგ პერიოდში, ანუ 2025-2030 წლებიდან უკვე 2010 წლის საშუალო ვარიანტით მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე 2008 წლის მონაცემებიდან გამომდინარე (იხ. ცხრილი 18).

მოკვდაობის სიჭარბე შობადობაზე, გაეროს პროგნოზის საშუალო ვარიანტით, როგორც 2008, ისე 2010 წლის გადასინჯვებით საქართველოში მოსალოდნელია 2010-2015 წლების პერიოდიდან. ამასთან, 2015 წლის შემდეგ ბუნებრივი კლების მაჩვენებელი (%) 2010 წლის გადასინჯვით უფრო მაღალია და დროთა განმავლობაში მატულობს.


დიაგრამა 5. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი (გარდაცვლილი ჩვილები 1000 ცოცხლად დაბადებულზე), გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვის მიხედვით, საქართველო - 2000-2050 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 22

როგორც მოტანილი დიაგრამიდან ვხედავთ, 2000-2035 წლებში ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი საქართველოში გაეროს პროგნოზის საშუალო ვარიანტის 2008 წლის გადასინჯვით უფრო მაღალია, ვიდრე 2010 წლის გადასინჯვის მაჩვენებლებით. შემდგომ პერიოდში უკვე ჩვილთა მოკვდაობა 2010 წლის გადასინჯვით უფრო მაღალია 2008 წლის გადასინჯვასთან შედარებით.

დიაგრამა 6. გარე მიგრაციის საღლო საშუალოდ წელიწადში (ათასი) გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვის მიხედვით, საქართველო – 2000-2100 (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 23


გარე მიგრაციის საღლო განსახილველი პერიოდის განმავლობაში, 2000-დან 2050 წლამდე უარყოფითია ორივე გადასინჯვის მიხედვით, თუმცა 2005 წლიდან შეიმჩნევა საკმაო განსხვავებები ცალკეული პერიოდისათვის. კერძოდ, გარე მიგრაციის საღლო 2015-2035 წლებში უფრო მაღალია 2010 წლის გადასინჯვის მონაცემებით, ხოლო 2035-2050 წლებში იგივე გადასინჯვით უფრო ნაკლებია 2008 წლის გადასინჯვასთან შედარებით.

3. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები სხვადასხვა პროგნოზით 2015-2050 წლებში

სხვადასხვა პროგნოზებს შორის ზოგჯერ საკმაო განსხვავებაა, ხოლო ცალკეულ წლებში პროგნოზების ნაწილი მსგავსია.


ყველა პროგნოზული გაანგარიშებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა, დროთა განმავლობაში, მუდმივად კლებულობს. განსხვავებაა საწყისი მოსახლეობის რაოდენობასა და კლების სიდიდეზე. კლების მიუხედავად, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მაღალ რაოდენობას ვარაუდობს აშშ აღწერის ბიურო, ხოლო ყველაზე დაბალს – მსოფლიო ბანკი.

დიაგრამა 7. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 1


დიაგრამა 8. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა საქართველოში (მამაკაცების რაოდენობა 100 ქალზე) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: გაანგარიშებულია დანართი, ცხრილი 1-ის საფუძველზე

როგორც ვხედავთ, მამაკაცების რაოდენობა 100 ქალზე ყველა პროგნოზული გაანგარიშებით იზრდება. ყველაზე მაღალ მაჩვენებელს იძლევა მსოფლიო ბანკი და ჩვენი პროგნოზული გაანგარიშება. გაეროს პროგნოზით რაოდენობრივი თანაფარდობის ზრდას თანდათანობითი ხასიათი აქვს (იხ. დიაგრამა 8).


დიაგრამა 9. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა საქართველოში (%) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 2-10-ის საფუძველზე

ყველა პროგნოზული გაანგარიშებით 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა საქართველოში მატულობს. დემოგრაფიული დაბერების ყველაზე მაღალი დონე გამოძინარეობს აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზიდან, ხოლო ყველაზე დაბალი – ჩვენს მიერ შესრულებული პროგნოზიდან.

დიაგრამა 10. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში (ათასი) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 11

ყველა პროგნოზული გაანგარიშებით 2050 წლისათვის დღევანდელთან შედარებით ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში კლებულობს. განსხვავება ის არის, რომ გაეროს მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზებით კლებას მუდმივი ხასიათი აქვს. ჩვენი პროგნოზით 2010-2040 წლებში, წინა პერიოდთან შედარებით, მოსალოდნელია ცოცხლად დაბადებულთა

რაოდენობის უმნიშვნელო მატება. 2050 წლისათვის დაბადებულთა ყველაზე მცირე რაოდენობას ვარაუდობს გაერო, ხოლო ყველაზე დიდი რაოდენობა გამომდინარეობს ჩვენი პროგნოზიდან. 2050 წლისათვის განსხვავება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობაში ჩვენსა და გაეროს პროგნოზებს შორის 13 ათასს შეადგენს.


დიაგრამა 11. გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში (ათასი) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 11

გაეროს პროგნოზული მონაცემებით საკმაოდ დროის მანძილზე (2010-2035 წწ.) გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში პრაქტიკულად ერთ დონეზე იქნება და მხოლოდ შემდგომ მოიმატებს უმნიშვნელოდ. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, წინა პერიოდთან შედარებით, 2020-2030 წლებში გარდაცვლილთა რაოდენობა დაიკლებს. შემდეგ პერიოდში ის ზრდას იწყებს და 2045 წლის შემდეგ ისევ შემცირდება. აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზით გარდაცვლილთა რაოდენობა საქართველოში მუდმივად მოიმატებს. ჩვენი პროგნოზული გაანგარიშებით, წინა პერიოდთან შედარებით, 2020-2030 წლებში მოსალოდნელია გარდაცვლილთა რაოდენობის უმნიშვნელო კლება, ხოლო შემდეგ ისევ მატებას ექნება ადგილი. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილთა ყველაზე დიდი რაოდენობა 2050 წლისათვის მოსალოდნელია ჩვენი პროგნოზით, ხოლო ყველაზე მცირე – მსოფლიო ბანკის პროგნოზით. განსხვავება მოცემულ შემთხვევაში 6000 შეადგენს.


დიაგრამა 12. ბუნებრივი მატება საქართველოში (ათასი) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 11

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საუბარი გვაქვს ბუნებრივმა ტემაზე, ფაქტობრივად უფრო მართებული იქნებოდა “ბუნებრივ კლებაზე” მსჯელობა. საქმე ის არის, რომ პრაქტიკულად ყველა პროგნოზული გაანგარიშებით გარდაცვლილთა რაოდენობის ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობაზე სიჭარბის გამო მოსახლეობის რაოდენობის კლებას ექნება ადგილი. ამასთან, დროთა განმავლობაში “ბუნებრივი კლების” სიდიდეს ზრდადი ხასიათი აქვს. მსოფლიო ბანკის აშშ აღწერის ბიუროსა და გაეროს პროგნოზით 2045-2050 წლების პერიოდში “ბუნებრივი კლება”, საშუალოდ წელიწადში, საქართველოში 20-23 ათასის ფარგლებში იქნება. ჩვენი ვარაუდით აღნიშნული სიდიდე რამდენადმე ნაკლები იქნება – დაახლოებით 15 ათასის ფარგლებში (იხ. დიაგრამა 12).

დიაგრამა 13. საერთაშორისო მიგრაციის სალდო საქართველოში (ათასი) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 11


გაეროს, მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზით, მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, საერთაშორისო მიგრაციის სალდო უარყოფითია. თუმცა განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს. გაეროსა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზით მიგრაციის სალდო მუდმივად კლებულობს და მინიმუმს აღწევს 2050 წლისათვის. მსოფლიო ბანკის პროგნოზით 2020 წლამდე მიგრაციის სალდო კლებულობს, ხოლო 2020-2050 წლების პერიოდში მუდმივი სიდიდის -10 ათასის ტოლი იქნება.

რაც შეეხება ჩვენ პროგნოზს, 2010-2025 წლებში მოსალოდნელია მიგრაციის უარყოფითი სალდოს მნიშვნელოვანი კლება, ხოლო შემდგომ პერიოდში მიგრაციის სალდო დადებითი ხდება და ამასთან ზრდადი ხასიათი ექნება (მოცემულის შესახებ იხილეთ ნაწილი 1. მეთოდოლოგიური განმარტებები).

სხვადასხვა პროგნოზის განსხვავებული ხედვის მიუხედავად, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება ყველა შემთხვევაში უარყოფითია. გაეროსა და მსოფლიო ბანკის პროგნოზები ყველაზე მკაცრია იმ თვალსაზრისით, რომ უფრო დიდი სიდიდის მოსახლეობის ცვლილების უარყოფით ტენდენციას უჩვენებს. რაც შეეხება აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზს, ის რამდენადმე უფრო “რბილია”.

ჩვენი პროგნოზული გაანგარიშებითაც მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება უარყოფითი ხასიათისაა, თუმცა მას მუდმივი კლების ხასიათი გააჩნია და 2035-2040 წლების პერიოდისათვის მინიმუმამდე დადის. შემდგომ პერიოდში 2050 წლამდე ის მინიმალურ მუდმივ სიდიდეზე იქნება (იხ. დიაგრამა 14).

დიაგრამა 14. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება საქართველოში (ათასი) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 11

გაეროს, აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზებით შობადობა მოსახლეობის 1000 სულზე ცვალებად ხასიათს ატარებს. ის ჯერ მცირდება და 2040 წლების პერიოდიდან იწყებს უმნიშვნელო მატებას. მიუხედავად ამისა, 2050 წლისათვის მისი სიდიდე ნაკლები იქნება 2010-2015 წლებთან შედარებით. მსოფლიო ბანკის პროგნოზით შობადობა 2035 წლამდე მუდმივად კლებულობს. 2035-2045 წლების პერიოდში ის უმნიშვნელოდ მოიმატებს, ხოლო შემდეგ ისევ რამდენადმე შემცირდება.

ჩვენი პროგნოზით 2025 წლამდე შობადობა მოსახლეობის 1000 სულზე შემცირდება. 2020-2030 წლების პერიოდში დაახლოებით ერთ დონეზე იქნება, ხოლო 2030-2040 წლებში რამდენადმე მოიმატებს. 2040 წლიდან მოსალოდნელია მისი ისევ კლება.

აღსანიშნავია, რომ შობადობის (%) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2050 წლისათვის გამოდინარეობს ჩვენი პროგნოზიდან, ხოლო ყველაზე დაბალი – აშშ აღწერის ბიუროს მონაცემებიდან.


დიაგრამა 15. შობადობა საქართველოში (%) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 12

როგორც ცნობილია, შობადობის დონის უფრო ზუსტ მაჩვენებელს წარმოადგენს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ანუ ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა.


დიაგრამა 16. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 13

გაეროს პროგნოზით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ჯერ კლებულობს, ხოლო შემდეგ მუდმივად მზარდი ხასიათი აქვს. დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა შეიმჩნევა ჩვენს მიერ გაკეთებული პროგნოზის შემთხვევაშიც. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ჯერ კლებულობს, ხოლო 2035 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება და სტაბილიზირდება ერთ მუდმივ დონეზე საპროგნოზო პერიოდის ბოლომდე. მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზით შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2010 წლიდან მოყოლებული მუდმივ მატებას განიცდის. აღსანიშნავია, რომ გაეროს მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზებით 2050 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის სიდიდე მეტი იქნება, ვიდრე 2010-2015 წლებში. ამისგან განსხვავებული მდგომარეობაა ჩვენი პროგნოზის შემთხვევაში. კერძოდ, 2050 წელს მიღწეული დონე რამდენადმე ნაკლები იქნება, ვიდრე 2010-2015 წლებში იყო. ასევე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ყველა პროგნოზით 2010-2050 წლებში არსებული შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის დონე საქართველოში ვერ უზრუნველყოფს თაობათა განახლებას.


დიაგრამა 17. მოკვდაობა საქართველოში (%) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 12

ყველა პროგნოზული გაანგარიშებით მოკვდაობას მოსახლეობის 1000 სულზე მუდმივი მზარდი ხასიათი აქვს. ამასთან გაეროს, მსოფლიო ბანკისა და ჩვენი პროგნოზებით 2050 წლისათვის მოკვდაობის (%) მიღწეული დონე მსგავსია. მოკვდაობის შედარებით დაბალ დონეს უჩვენებს აშშ აღწერის ბიურო, თუმცა 2050 წლისათვის, დღევანდელთან შედარებით, ის 40%-ით უფრო მეტია.


დიაგრამა 18. ბუნებრივი მატება საქართველოში (%) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 12

როგორც ზემოთ ითქვა, მოცემულ შემთხვევაში, ბუნებრივი მატების ნაცვლად უფრო მართებული იქნებოდა “ბუნებრივი კლების” ცნების გამოყენება. აღნიშნული სიდიდე პროგნოზის ყველა ვარიანტით უარყოფითია და ამასთან მუდმივად ზრდადი ხასიათი გააჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ აღწერის ბიუროს მონაცემი 2010-2015 წლების პერიოდისათვის. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალი უარყოფითი სიდიდე 2050 წლისათვის გამომდინარეობს გაეროს პროგნოზიდან, ხოლო შედარებით ყველაზე დაბალი – ჩვენი პროგნოზიდან.

დიაგრამა 19. საერთაშორისო მიგრაციის საღდო საქართველოში (%) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 12

როგორც ადრე მოტანილი მაგალითის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო მიგრაციის სალდოს რაოდენობა განიხილებოდა, მოცემულ შემთხვევაშიც, როდესაც საუბარია მიგრაციის სალდოზე მოსახლეობის 1000 სულზე, გაეროს მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს მონაცემებით, მთელი პროგნოზული პერიოდის განმავლობაში საქართველოსათვის დამახასიათებელი იქნება უარყოფითი სალდო. გაეროსა და აშშ აღწერის ბიუროს მონაცემებით მიგრაციის სალდოს (%) მუდმივი კლების ხასიათი ექნება და 2045-2050 წლების პერიოდისათვის მინიმუმამდე დავა. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის პროგნოზს, 2030 წლამდე მათი ვარაუდით მიგრაციის სალდო დაიკლებს, ხოლო 2030 წლის შემდეგ ის ისევ ზრდას დაიწყებს.

ჩვენი ვარაუდით 2025 წლამდე კლების მიუხედავად მიგრაციის სალდო უარყოფითი იქნება, ხოლო შემდეგ პერიოდში დადებითი გახდება და ამასთან ზრდის ტენდენცია ექნება.

დიაგრამა 20. მოსახლეობის ცვლილება საქართველოში (%) (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 12

პროგნოზის ყველა ვარიანტით მოსახლეობის ცვლილება (%) საქართველოში, მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, უარყოფითი იქნება. შედარებით მაღალი უარყოფითი მაჩვენებლებით გამოირჩევა გაერო და მსოფლიო ბანკი, ხოლო ყველაზე დაბალით – ჩვენი პროგნოზი. ამასთან, ჩვენი პროგნოზით 2035 წლის შემდეგ მოსახლეობის ცვლილების უარყოფითი სიდიდე ძალიან უმნიშვნელო იქნება. აღსანიშნავია, რომ ყველა პროგნოზის შემთხვევაში მოსახლეობის ცვლილების სიდიდე 1%-ზე ნაკლებია.


გაეროს, მსოფლიო ბანკისა და აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზებით მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში (2010-2050 წწ.) მატებით ხასიათდება (იხ. დიაგრამა 21).

არის განსხვავებებიც. მსოფლიო ბანკის პროგნოზის შემთხვევაში მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 2035-2050 წლებში ერთ მუდმივ დონეზეა (იხ. დიაგრამა 21).

აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზის შემთხვევაში მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის ნაცვლად მოტანილია მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო კოეფიციენტი. მიუხედავად ამისა, უნდა ვივარაუდოთ რომ ნეტო კოეფიციენტი

რამდენადმე ნაკლები იქნება ბრუტო კოეფიციენტზე, თუმცა მას ბრუტო კოეფიციენტის მსგავსი ტრენდი ექნებოდა.

დიაგრამა 21. მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი საქართველოში (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 13

ჩვენი პროგნოზით მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 2020 წლამდე მცირდება, 2020-2030 წლებში პრაქტიკულად ერთ დონეზეა, ხოლო 2030 წლიდან მატულობს და 2035-2050 წლებში სტაბილიზირდება ერთ დონეზე.

აღსანიშნავია, რომ ყველა პროგნოზის საშუალო ვარიანტიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმზე მიუთითებს მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.

დიაგრამა 22. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები საქართველოში (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 13

ყველა პროგნოზით ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში დროთა განმავლობაში კლებულობს, თუმცა არის განსხვავებები. ყველა პროგნოზი ჩვილთა მოკვდაობის განსხვავებულ დონეს იძლევა. განსხვავება 2010-2015 წლებიდან იღებს დასაბამს. აღნიშნული დროისათვის ჩვილთა მოკვდაობის ყველაზე მაღალი დონე გამომდინარეობს მსოფლიო ბანკის პროგნოზიდან. მასთან შედარებით ის 2-ჯერ დაბალია აშშ აღწერის ბიუროს მონაცემებიდან გამომდინარე. აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზით ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში 2050 წლისათვის 2-ჯერ მცირე იქნება, ვიდრე მსოფლიო ბანკისა და გაეროს პროგნოზებიდან გამომდინარეობს.

ჩვენი პროგნოზი, რომელიც 2045-2050 წლებს ეხება, უფრო ახლოსაა აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზთან.

2050 წლისათვის 2010-2015 წლებთან შედარებით ჩვილთა მოკვდაობის დონე გაეროს პროგნოზით 2-ჯერ შემცირდება, მსოფლიო ბანკის პროგნოზით – თითქმის 3-ჯერ, აშშ აღწერის ბიუროსა და ჩვენი პროგნოზებით – დაახლოებით 2,5-ჯერ.

დიაგრამა 23. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში, ორივე სქესი (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 13

ყველა პროგნოზით სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში მატულობს, თუმცა მის სიდიდეში განსხვავებები შეიმჩნევა, ზოგჯერ მნიშვნელოვანი.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბადებისას ყველაზე მაღალი დონე გამომდინარეობს აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზიდან, ხოლო ყველაზე დაბალი – მსოფლიო ბანკის პროგნოზიდან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკისა და ჩვენს მიერ გაკეთებული პროგნოზების შედეგები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან და მოტანილ დიაგრამაზე 2045-2050 წლებს თუ არ ჩავთვლით, ერთმანეთს ემთხვევა. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბადებისას პროგნოზი, რომელსაც გაერო იძლევა 2015-2050 წლებისათვის უფრო ახლოსაა ჩვენს და მსოფლიო ბანკის პროგნოზებთან, ვიდრე აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზთან.

2050 წლისათვის დღევანდელთან შედარებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის გაიზრდება: გაეროს პროგნოზით – 4,8 წლით;

მსოფლიო ბანკის პროგნოზით – 5,5 წლით; აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზით – 4,6 წლით; ჩვენი პროგნოზით – 6 წლით.


განვიხილოთ სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის პროგნოზით სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა მოცემულია მხოლოდ ორივე სქესისათვის. ამიტომ მოტანილ დიაგრამაზე (24) მსოფლიო ბანკის პროგნოზი მოცემული არ არის.


როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში ყველაზე მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გამოდინარეობს აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზიდან.

დიაგრამა 24. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში, (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)

მამაკაცები



ქალები



წყარო: დანართი, ცხრილი 13

ჩვენი პროგნოზი უფრო გაეროს პროგნოზთან არის ახლოს. ამასთან, 2010-2015 წლებში სხვაობა გაეროსა და ჩვენს პროგნოზებს შორის მეტია, ხოლო შემდეგ პერიოდში ხდება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაახლოება და 2050 წლისათვის განსხვავება უმნიშვნელოა.

ყველა პროგნოზით განსხვავება მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის მცირდება. ამასთან, აღნიშნული განსხვავება

გაეროსა და ჩვენს პროგნოზებს შორის ძალიან უმნიშვნელოა, ხოლო 2040 წლიდან ერთნაირია.

უნდა ითქვას რომ როგორც მამაკაცების, ისე ქალების შემთხვევაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ყველაზე დიდი მატება გამომდინარეობს ჩვენი პროგნოზიდან, ხოლო ყველაზე მცირე – აშშ აღწერის ბიუროს პროგნოზიდან.

4. საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები 2050-2100 წლებში*


ქვემოთ მოცემული იქნება პროგნოზი 2050-2100 წლებისათვის. ამასთან, წარმოდგენილი იქნება გაეროს ექსპერტების მიერ შესრულებული პროგნოზები. როგორც ჩვენ, ისე რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია სხვა ორგანიზაციებს, ჯერჯერობით, დემოგრაფიული პროგნოზები 2050 წლის შემდეგ არ წარმოუდგენიათ.

დანართში მოცემულ ცხრილებში (24-35) პროგნოზები 2050-2100 წლებისათვის მოცემულია 4 ვარიანტად. საშუალო ვარიანტი, მაღალი ვარიანტი, დაბალი ვარიანტი და მუდმივი შობადობის ვარიანტი. 2050-2100 წლების დემოგრაფიული ინდიკატორების განხილვისას – ქვემოთ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ მხოლოდ პროგნოზის საშუალო ვარიანტით, თუმცა დაინტერესებულ პირს შეუძლია წარმოდგენა მიიღოს პროგნოზის სხვა ვარიანტებიდან ცხრილებიდან გამომდინარე.

მოსახლეობა

გაეროს ექსპერტების აზრით, პროგნოზის საშუალო ვარიანტიდან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2050-2100 წლებში მუდმივ კლებას განიცდის.


დიაგრამა 25. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 24

2100 წლისათვის 2050 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 819 ათასით შემცირდება და მხოლოდ 2 მლნ. 300 ათასზე რამდენადმე მეტი იქნება.

დიაგრამა 26. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 26


* წყარო: [World Population Prospects: The 2010 Revision, http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm](http://esa.un.org/unpd/wpp/index.htm)

ამასთან, საკმაოდ საინტერესო იქნება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება. 2065 წლიდან 15 და ნაკლები ასაკის მოსახლეობის მუდმივ მატებას ექნება ადგილი. 2050-2100 წლებში 15-64 წლის ასაკის მოსახლეობა 57-59%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას (იხ. დიაგრამა 26), დემოგრაფიული დაბერების პროცესი 2050-2060 წლებში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. შემდეგ პერიოდში 2065 წლისათვის დაბერების დონე კლებულობს და შემდგომ მერყეობს 27-28 %-ის ფარგლებში. ზემოთ მოტანილის მიხედვით მოგვიანებით განვიხილავთ.

შობადობა

უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტით მიღებულ როგორც ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობაში, ისე შობადობის ზოგადი კოეფიციენტის () შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავებებია. მაგალითად, პროგნოზის დაბალი ვარიანტით 2100 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 8 ათას ცოცხლად დაბადებულს ვარაუდობენ საშუალოდ წელიწადში, მაშინ როდესაც პროგნოზის მაღალი ვარიანტით იმავე დროისათვის 61 ათასს.

დიაგრამა 27. შობადობა (მოსახლეობის 1000 სულზე) საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 27


როგორც ზემოთ ითქვა, ქვემოთ ჩვენ პროგნოზის საშუალო ვარიანტით ვისარგებლებთ. მის შემთხვევაში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა საქართველოში მცირდება 28 ათასიდან 25 ათასამდე. იგი სტაბილიზირდება 2085 წლისათვის.

რაც შეეხება შობადობის ზოგად კოეფიციენტს, რომლის დინამიკა დიაგრამაზეა (27) გამოსახული, ის მუდმივ ზრდას განიცდის და მაქსიმუმს აღწევს 2100 წლისათვის.

გაეროს ექსპერტების ვარაუდით 2050 წლის შემდეგ მოსალოდნელია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მატება. აღნიშნულ მატებას თანდათანობითი და უმნიშვნელო ხასიათი ექნება. 2050-2100 წლების პერიოდში პროგნოზის საშუალო ვარიანტით ეს მატება მხოლოდ 0,21 ბავშვს შეადგენს. ამასთან, 2100 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მიღწეული დონე (2) მაინც საკმარისი არ იქნება თაობათა განახლებისათვის (იხ. დიაგრამა 28).

აღსანიშნავია, რომ როდესაც ზემოთ საუბარი იყო 15 წლისა და უმცროსი ასაკის მოსახლეობის წილის ზრდაზე და 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის თავისებურ ტრენდზე, ეს სწორედ შობადობის მატებისაგან გამომდინარეობს.

დიაგრამა 28. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 31

მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

გაეროს პროგნოზის როგორც საშუალო, ისე სხვა ვარიანტებიდან გამომდინარეობს, რომ გარდაცვლილთა რაოდენობა და მოკვდაობის კოეფიციენტი მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით დროთა განმავლობაში კლებას განიცდის. ქვემოთ მოტანილი დიაგრამა გვიჩვენებს გარდაცვლილთა რაოდენობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკას პროგნოზის საშუალო ვარიანტით.

დიაგრამა 29. გარდაცვლილთა რაოდენობა (ათასი) და მოკვდაობა (%) საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 28

ასეთი მდგომარეობა ძირითადად ორი მიზეზით არის გამოწვეული: 1. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით და 2. მოკვდაობის ინტენსივობის შემცირებით.

გაეროს ექსპერტების ვარაუდით მნიშვნელოვან კლებას განიცდის ჩვილთა მოკვდაობა. ამასთან, პროგნოზის ყველა ვარიანტი ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის ერთნაირი სიდიდის დინამიკას გულისხმობს (იხ. დიაგრამა 30).

დიაგრამა 30. ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები (გარდაცვლილი ჩვილები 1000 ცოცხლად დაბადებულზე) საქართველოში 2050-2100 წწ.




წყარო: დანართი, ცხრილი 34

2100 წლისათვის 2050 წელთან შედარებით გაეროს ექსპერტების ვარაუდით ჩვილთა მოკვდაობა საქართველოში თითქმის 2-ჯერ შემცირდება. მიუხედავად ამისა, მისი დონე მეტი იქნება, ვიდრე სადღეისოდ არის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში.

ისე როგორც ჩვილთა მოკვდაობის შემთხვევაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბადებისას დროსაც პროგნოზის ყველა ვარიანტი ერთ სიდიდეს ითვალისწინებს და ამდენად ისინი მსგავსია.

დიაგრამა 31. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოში 2050-2100 წწ.



წყარო: დანართი, ცხრილი 35


მოსალოდნელია, რომ 2100 წელს 2050 წელთან შედარებით, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში ორივე სქესისათვის გაიზრდება 4,4 წლით და მიაღწევს 84 წელს. ქალების შემთხვევაში სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზრდება 4,5 წლით და გადააჭარბებს 86 წელს, ხოლო მამაკაცების მოიმატებს 4,8 წლით და გადააჭარბებს 81 წელს. სხვაობა ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის რამდენადმე შემცირდება (5,7 წლიდან 5,4 წლამდე).

მოსახლეობის ბუნებრივი მატება, აღწარმოება და ცვლილება

მოცემულ შემთხვევაშიც ჩვენ ვიხელმძღვანელებთ გაეროს ექსპერტების მიერ შესრულებული პროგნოზის საშუალო ვარიანტით.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მაღალი ვარიანტის მონაცემებს თუ არ ჩავთვლით, რომლის დროსაც ბუნებრივ მატებას დადებითი მნიშვნელობა აქვს და ამასთან, დროთა განმავლობაში იზრდება, პროგნოზის სხვა ვარიანტებისას ბუნებრივი მატების მნიშვნელობა უარყოფითია, თუმცა მისი სიდიდე დროთა განმავლობაში მცირდება.

დიაგრამა 32. მოსახლეობის ბუნებრივი მატება (ათასობით და მოსახლეობის 1000 სულზე) საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 29

აღნიშნულ მდგომარეობას განაპირობებს შობადობის მატება და მოკვდაობის შემცირება მოსახლეობის 1000 სულზე, თუმცა მიუხედავად ამისა, მოკვდაობა მეტია შობადობაზე და ამდენად მოსახლეობის კლებას აქვს ადგილი.

უკვე მოტანილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები საქართველოში ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი და ამდენად, 2050-2100 წლებში შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი იქნება დამკვიდრებული.

დიაგრამა 33. მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)




წყარო: დანართი, ცხრილი 32

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელია მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების თანდათანობითი, მაგრამ მუდმივი მატება და მათი ღონეების მიახლოება მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვართან.

2050-2100 წლების პერიოდისათვის დამახასიათებელი იქნება მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ძალიან მაღალი ეკონომიურობა.

რაც შეეხება მოსახლეობის ცვლილებას, 2050-2100 წლებისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება, თუმცა ცვლილების მახვენებელი დროთა განმავლობაში მუდმივ კლებას განიცდის. მოსახლეობის ცვლილების თვალსაზრისით, საშუალოდ წელიწადში, 2100 წლისათვის (-8 ათასი) საქართველო 3-ჯერ ნაკლებ მოსახლეობის რაოდენობას დაკარგავს 2050 წელთან (-23 ათასი) შედარებით. ბუნებრივია, აბსოლუტური რაოდენობის შემცირებას მოჰყვება კოეფიციენტის კლებაც.

დიაგრამა 34. მოსახლეობის ცვლილება (ათასი და წილი) საქართველოში 2050-2100 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 30

5. საქართველოს ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებელი 2100-2300 წლებში

რა დემოგრაფიული პერსპექტივებია მოსალოდნელი საქართველოსათვის 2100 წლის შემდეგ?


ამაზე გარკვეულ პასუხს გაეროს ექსპერტები იძლევიან¹².

მართალია, მოცემულ შემთხვევაში მოტანილია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის დემოგრაფიული მაჩვენებლები ისიც მხოლოდ პროგნოზის საშუალო ვარიანტით.

ძალიან მოკლედ აღნიშნულის შესახებ.

გაეროს ექსპერტების ვარაუდით 2100 წლის შემდეგ 2150 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კლებას განიცდის, ხოლო შემდეგ ის მატების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა მატების ტემპი საკმაოდ დაბალია. 2300 წლისათვის 2100 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა სავარაუდოდ დაახლოებით 200 ათასით გაიზრდება.

დიაგრამა 35. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (მლნ.) 2100-2300 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 36

მოსალოდნელია, რომ 2100 წლიდან 2300 წლამდე 4 წლით გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი (შესაბამისად 44,2 წლიდან 48,3 წლამდე).

აღსანიშნავია, რომ 2100 წლის გადასინჯვის საშუალო ვარიანტით, 2100 წლისათვის, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 2,4 მილიონის ფარგლებშია ნავარაუდები, ხოლო მედიანური ასაკი – 46,0 წელი.


გაეროს ექსპერტების პროგნოზით, 2100-2300 წლების პერიოდში, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში 2,06-2,07-ის ფარგლებში იქნება.

რაც შეეხება სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას დაბადებისას, მოსალოდნელია მისი ზრდა როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის. 2300 წელს 2100 წელთან შედარებით მამაკაცებისათვის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა სავარაუდოდ საშუალოდ 13,1 წლით, ხოლო ქალებისათვის – 11,1 წლით გაიზრდება.

ამასთან, სხვაობა ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის დროთა განმავლობაში თანდათან მცირდება. 2100 წელთან შედარებით 2300 წლისათვის, ნავარაუდევია აღნიშნული სხვაობის 2 წლით შემცირება (4,8 წლიდან 2,8 წლამდე).

¹² World Population to 2300 (2004). UN, N-Y., Department of Economic and Social Affairs. Population Division

დიაგრამა 36. საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 2100-2300 წწ. (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)



წყარო: დანართი, ცხრილი 36

რეზიუმე

უდაგოა დემოგრაფიული პერსპექტივების განსაზღვრის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის.

როგორც ზემოთ ითქვა, მსოფლიოს ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, დემოგრაფიულ პროგნოზებს 2050 წლამდე სამი ორგანიზაცია ახორციელებს: გაერო, მსოფლიო ბანკი და აშშ აღწერის ბიურო. დემოგრაფიული პერსპექტიული გაანგარიშებები საქართველოსათვის ჩვენც გაგვაჩნია.

პერიოდულად წარმოებს არსებული გაანგარიშებების გადასინჯვა. ზოგჯერ ახალი გადასინჯვა არა მარტო პროგნოზის ცვლილებას გულისხმობს, არამედ ძველ პერიოდსაც მოიცავს. მაგალითად, ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი გაეროს 2008 და 2010 წლების გადასინჯვებისას. ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებლები განსხვავდება 2000-2005 წლებისათვის.

სამივე ზემოთ მოტანილი ორგანიზაციისა და ჩვენს მიერ შესრულებული პროგნოზებიდან გამომდინარეობს, რომ 2015-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება; გაიზრდება მამაკაცების რაოდენობა 100 ქალზე და დემოგრაფიული დაბერების დონე; რამდენადმე გაიზრდება შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, თუმცა ის თაობათა განახლების ზღვარს ქვემოთ იქნება; მოსახლეობის 1000 სულზე შემცირდება შობადობა და გაიზრდება მოკვდაობა. ასეთ მდგომარეობას მოჰყვება ბუნებრივი მატების კლება. მოსალოდნელია მიგრაციის უარყოფითი საფლდოს შემცირება, ხოლო ჩვენი პროგნოზის შემთხვევაში მისი სიდიდე 2025 წლის შემდეგ პერიოდში დადებითი გახდება. ყველა პროგნოზით მოსალოდნელია ჩვილთა მოკვდაობის შემცირება და დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მატება.

2050-2100 წლებისათვის გაეროს ექსპერტების პროგნოზით საქართველოში მოსალოდნელია მოსახლეობის რაოდენობის შემდგომი შემცირება; შობადობის ზრდა; მოკვდაობის, მათ შორის ჩვილთა მოკვდაობის შემცირება; დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა; ბუნებრივი მატების ზრდა; მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტების მიახლოება მარტივი აღწარმოების ზღვართან.

გაეროს ექსპერტების გრძელვადიანი პროგნოზით, რომელიც 2100-2300 წლებს მოიცავს, 2150 წლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ზრდას იწყებს. მოიმატებს შობადობა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას.

მოტანილის სახით გამოიყურება საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები.